



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 229

ქალაქი ქუთაისი 30 დეკემბერი 2015 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 04.12.2015 წლის N14091/01 მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის“ /ს/კ412675396/, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N25-ის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე შენობისა /ფართობით - 611.0 კვ.მ./ და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის /ფართობით - 2952.0 კვ.მ. საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.05.24.642/ და ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N33-ის სამხრეთით მდებარე შენობისა /ფართობით - 611.0 კვ.მ./ და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის /ფართობით - 2300.0 კვ.მ. საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.23.264/ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონებით სარგებლობის ვადა განისაზღვროს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ /ს/კ 412675396/ არსებობის ვადით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურღულიამ უზრუნველყოს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი